

## 2019-2020 სასწ. წლის მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები

### კომპოზიცია

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 81 და ზემოთ.

სამაგისტრო პროგრამაზე „კომპოზიცია“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურს სპეციალობაში.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

1. აბიტურიენტმა მოცემულ თემაზე უნდა შეთხზას ვარიაციული ფორმის ნაწარმოები. სასურველია, ნაწარმოები აწყობილ იქნეს ერთ-ერთ კომპიუტერულ პროგრამაში - Finale/Sibelius. (სამუშაო დრო 6 ასტრონომიული საათი);
2. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს დიდი ფორმის ახალი ნაწარმოები – ქრონომეტრაჟი არანაკლებ 10 წუთის სანოტო ჩანაწერი. ნაწარმოები უნდა იყოს აკრეფილი ერთ-ერთ კომპიუტერულ პროგრამაში (Finale/Sibelius) და წარმოდგენილი როგორც ამობეჭდილი, ასევე აუდიო/ვიდეო ჩანაწერების სახით. (ადრე შეფასებული ნაწარმოების გამოტანა არ შეიძლება).